

რედაქცია

მელიქიძის ქუჩაზე, პრეტორიუმის სახელობაში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიძის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ.; თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციფროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. ღებუქველი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

პირველი ნაბიჯი

ჩვენი განკარგვისა

(დასასრული)

მაშასადამე ჩვენი ბანკირები აპირებენ ახალი ქართული გაზეთის გამოცემას.

ახალი გაზეთის გამოცემა ჩვენში დიანს საქები და სასარგებლო საქმეა, და ღმერთმა ჰქნას, იმ დღეს მოვესწრებოდეთ, როცა ქართულს ენაზე, ერთი და ორი გაზეთი კი არა, ოცი და ორმოცი დაარსებულიყოს. შევეყნის სიკეთე ჩვენს თვალში და გრძობაში ადვილათ გამოიყიდის ასიოდე ხელის-მომწერლის დაკარგვას „ღროებისთვის“ და „ღროების“ გამოცემა არც დღემდე ყოფილა და არც ეხლა არის ისეთი სარგებლიანი (შემოსავლის მხრით), რომ საკუთარმა სარგებლობამ საზოგადო სიკეთე დაგვაიწყებინოს.

აქედამ სჩანს, რომ „ღროებას“ არც საზოგადო სიკეთის მხრით, არც პირადი ანგარიშის ძიებით, არავითარი საფუძველი არა აქვს წინააღმდეგს ახალი გაზეთის დაარსებას და გამოცემას, თუ კი ამ ახალს გაზეთს მხედველობაში საზოგადო ინტერესები ექნება, და არა საზოგადო ვნება.

ფელტონი

ქართველების

მონასტრები უცხო ქვეყნებში

სად არ ჰქონდათ უწინდელ ქართველებს მონასტრები! ძვიპრესა, ანტიოხიაში, ტრაპიზონში, იერუსალიმში, ათონის მთაზე და ბევრს სხვა ადგილებზე ქართველებმა გაიხინეს ერთნაირი კალონიები — მონასტრები და მოქმედებდნენ იქ მამულის სასარგებლოდ. მითომ იფიქრებს ვინმე, რომ ეს ფაქტი გადამატებული იყოს სრულგებობა არ არის რა გადამატებული. შარგებლო იქნება, რომ ამის დასამტკიცებლად მისტორიების მოწმობებით გავაცხოთ ქალაქი; მით უფრო რომ გარემოების განხილვა ცხადად გვიჩვენებს ამ მოვლენას და გვარწმუნებს, რომ საქმე მართლაც ასე უნდა ყოფილიყო.

მაქრისტიანების რამოდენიმეთ წინ საქართველომ დაიწყო პოლიტიკური ცხოვრება; მან მიიღო იმისთანა დაწყობილება, რომელშიაც გონებას

მხლა აი რა მხარე გავსინჯოთ ამ საქმისა. როგორ გგონია, მკითხველო, დღეს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მწერლობის და ჩვენი ახალგაზრდობის მდგომარეობა უმჯობესია თუ უარესია, ვინმე იგივე მდგომარეობა ამ ხუთი, რვა ან ათის წლის წინეთ?

ამ ხუთი-ექვსი წლის წინეთ, იცით რა დრო და რა ამინდი იყო ჩვენთვის? ქართული ენა ვის ახსოვდა, ქართულ მწერლობას ვინ აქცევდა ყურადღებას, ქართული გაზეთი ვის რათ მიაჩნდა? გაზეთზე ხელს-წერდნენ თხოვნისა და ხეყნის გამოცხადებით, თითქო მოწყალეობას იძლეოდნენ. „ქართული მწერალი“ ზოგს ტუტუცათ მიაჩნდა, ზოგს გიჟათ: „საქმე გამოლევა, ჯღაბნისო,“ ამბობდნენ ყველანი, ყოველგან მის სმტყვას სრულიად არავითარი გაელენა არ ჰქონდა საზოგადოებაში. მეორეს მხრით ის ვერ ბედავდა შეხებოდა თითქმის არც ერთს იმ საგანს, რომელზედაც ჰფიქრობდა ზრუნავდა იმ დროს საზოგადოება. ათასნაირ გადაკრულ-გადმოკრული მიხვევ-მოხვევით უნდა გამოეთქვა იმას თავისი აზრი, ისე რომ მკითხველი ვერც კი ტყობულობდა რაში მდგომარეობდა ეს აზრი და რა უნდოდა ეთქვა მწერალს. ამ მწე-

რალს ზოგიერთი ვაჭბატონები იმ გვარ თვალებით უყურებდნენ, თითქო მას მუნი ან ქეცი სჭირებოდა.

სად ბრძანდებოდნენ მაშინ, და რას შერებოდნენ ქართული მწერლობის და ქართული საზოგადოების სასარგებლოთ ის პირები, რომელნიც დღეს იწყებენ ზრუნვას ჩვენს მწერლობაზე? თუ ამ პირებს მართლა და გულწრფელათ უყვარდათ ჩვენი მწერლობა და ქვეყანა, სად იმალებოდნენ ისინი, როცა ამ ჩვენს ქვეყანას და მწერლობას ათასჯერ უფრო მეტათ ეჭირებოდა დახმარება და ხელის გაწყობა, ვინმე დღეს რათ არ თანაუგრძობდნენ და არ ეხმარებოდნენ მწერლობას, როცა ის ფეხის-ადგმას გაჭირვებით და ვიწვგლანით სცდილობდა? რითი გამოიჩინეს იმათ მაშინ საზოგადოების სიკეთეზე ზრუნვა და ქვეყნის მომავალზე მეცადინეობა?

მე შემძლიან უთხრა ეხლა ჩვენს საზოგადოებას — რას შერებოდნენ მაშინ და სად იმალებოდნენ ის პირები, რომელნიც დღეს „ქართული მწერლობის აღდგინებას“ შესდგომიან. შემტყვი ნაწილი ამ ვაჭბატონ-

ებისა მაშინ მსახურობდნენ, ზოგი სუდიათ, ზოგი ინსპექტორათ, ზოგი დირექტორათ და ზოგი რათ; მსახურობდნენ კარგ შემოსავლიან ადგილებზე, კარგა ლამაზათ დაბინავებულნი, კარგი ორას-ორასი თუმნის ჯამაგირით გამომძღარნი. მაშინ ეს პირნი თავიანთი ჯამაგირიანი ადგილებიდან შებრალებით და მასხარად ავდებით დაცქერდნენ ჩვენს „ტუტუტურს შრომას“, ჩვენს მწერლობას და ქართველობას. მაშინ ისინი ქუჩაზე ერთათ გაელასაც ვერ ბედავდნენ ჩვენთან, ვაი თუ ამით ჯამაგირი შეგვიძვირდესო. მაშინ თვით უფ. ილია შავჭავჭავეც განზე უღვა ქართულ მწერლობას, და ღუშეთში სუდიობას ეწაფებოდა, „საქართველოს მოამბის“ დაცემით იმედ-მოკვეთილი...

ვისაც ქვეყნის სამსახური უნდოდა, ვისაც გულში სამშობლოს მხურვალე სიყვარული უღვივოდა, აი მაშინ უნდა გამოსულიყო და მაშინ უნდა მიეცა ნუგეში ჩვენი საზოგადოებისთვის, მაშინ უნდა ეჩვენებინა სწორე გზა ჩვენი ახალგაზრდობისთვის, მაშინ უნდა გამოეჩინა პირადი მაგალითით, რომ კაცს მართო ჯამაგირი კი არა, თავისი ქვეყნის სიკეთე და თავისი საზოგადოების კეთილდღეობა უნდა ჰქონდეს ცხოვრების და მოქმედების მიზნათ. რა მსხვერპლი მოუტანეს ამ პირებმა თავიანთ

მეტი ასპარეზო მიეცა. მაგრამ კიდევ უფრო ვრცელი ასპარეზი უჩვენა გონებას ქრისტიანობამ და ძველს წესთან მისმა ბრძოლამ. ქართველმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა ამ ბრძოლაში; ის მიემხრო ქრისტიანობას. აქ არ დაგვაიწყდეს ერთი გარემოება, რომ, შემდეგ რამოდენიმე საუკუნისა, როცა არაბები მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდნენ, და წარმატეს მეცნიერებაში, თუმც ივინი ქართველების წინააღმდეგნი იყვნენ სარწმუნოებაში, მაგრამ ქართველებმა თავიანთი მსწავლობდნენ მეცნიერებასა. ამასთანავე ქვეყით ენახავთ, თუ პეტრიწმა რა მიმართულების ბერძნის ფილოსოფოსი ჰსთარგვა ქართულს ენაზე.

მინ იყვნენ ეს პირნი, ვინც, მსწავლობდნენ ამ მეცნიერებას და შემდეგ ასწავლიდნენ სხვებს? მს იყვნენ საეკლესიო პირნი, ბერები და მღვდლები. ღიან, საყდრებმა და განსაკუთრებით მონასტრებმა მართოდ მიითვისეს უფლება და მიიღეს მოვალეობა განათლების გავრცელებისა. მათ მიაქციეს ყურადღება ყოველ საშუალებას;

რასაც კი შეეძლო ახალ ჰაზრების გავრცელება. მათ მოაუღეს ხელი შკოლებს. მათის ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ ყოველნაირნი საზოგადო ჩვეულებანი; თამაში, ტირილი, ქორწილი და სხვ. ამ გვარ საეკლესიო დაწესებულებათა მოქმედება იყო მხოლოდობითი საშუალება განათლების გავრცელებისა. ქართველებმა უნდა გამოეჩინათ ამისთვის სხვა გვარი ზომა, ანუ ამ ზომას უნდა დამორჩილებოდნენ. რადგანაც უწინდელ ცხოვრებას სხვა გვარი საშუალება მისთვის არ უჩვენებო, და ანლა მათმა მასწავლებლებმა ამ სახით დაუწყეს სწავლება, მათ მიიღეს ეს გზა.


მაშასადამე ქართველებს უნდა მიეციათ ყურადღება ეკლესიების და მონასტრებისთვის, უნდა გაემრავლებინათ და რიგიანად გაეწყობათ ისინი. ხოლო, ჯერ უნდა გაეჩინათ მათ ამისთანა დაწესებულებანი, იქ სადაც განათლები მუშაული იყო, საიდგანაც მათ სწავლა ჩამოეტანათ.

მართლაც, პირველად მოწინავე ქართველები მიდიოდნენ უცხო ქვე-

ყნებში, სწავლობდნენ იქ, და შემდეგ, როცა თავს მოიმზადებდნენ თანამემამულეების გასანათლებლად, ჩამოდიოდნენ საქართველოში და აქ ხსნიდნენ სასწავლებლებსა.

ამ გზაზე მრავალი დაბრკოლება ხდებოდა ჩვენს წინაპართ. მაგრამ საქმის კაცებს დაბრკოლება როგორ შეაშინებს. იმ დროის ქართველები კი საქმის კაცები იყვნენ: შეუძლებელს ხელს არ მოჰკიდებდნენ და შესაძლებელის აღსასრულებლად არაფერს არ დაშურვიდნენ. მათი მეცადინეობა უნაყოფო არ იყო, რადგანაც ეს მეცადინეობა საოცრად მძლავრი, საოცრად გავრცელებული და საყოფილოთა იყო. არა თუ თვით საქართველოს ხაზინა უწყებდა უცხო ქვეყნებში მონასტრებს, არამედ კერძო პირებიც. აქ გამოჩნდებიან გვარები: წულუკიძეებისა, აბაშიძეებისა, ამილახვრებისა, ჩოლაყაშვილებისა, ზედგინიძეებისა და მრავალი სხვებისა, რომელთაც დაუარსებიათ მონასტრები თავიანთ საკუთარ საშუალებით.

შეგონა იმ ადგილს შორის, რომ-



ლოლაბერიძისთანა პირებს, დღეს ისინი გაჩუმებულნი არიან. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ისინი გაჩუმებული არიან მარტო იმისთვის, რომ არც სათქმელი აქვთ რამე ხეირიანი, არც ხეირიანათ გამოთქმა შეუძლიანთ. მაგრამ საზოგადოებას კი ჰგონია, რომ ფილოსოფოსები არიან ეს პირებიო. თავიანთი გაზეთი რომ მაგათ ექნებათ, მაშინ გაჩუმება და წაყრუება როდილა გაუვიათ. მაშინ ყველაფერზე რამე უნდა თქვან; და მაშინ საზოგადოება თვითონაც დაინახავს და ჩვენც დაფანახებთ, თუ რა ფილოსოფოსები ბრძანდებიან ეს პირები. უკეთესს მათგანს, ილ. ჰაეჭავაძეს, რომ არ მოუხდა ხმის ამოღება, სხვებს რაღა ხეირი დაეყრება, ამასაც ვინახავთ და მოვესწრებით. საუბედუროთ, მე რომ ამ პირების ხასიათი ვიცი, ნახავთ, თუ ახალი გაზეთის გამოცემა მაგათ არ დააფიქვდესთ.

✕

მთი შენიშენა კიდეც, იმ ახალგაზღვრებზე, რომელნიც ამ გვარ განზრახვას ეხმარებიან და ამ გვარ საქმეში ერევიან. ჩვენ იმათ საკმაოთ ვიცნობთ, და ამისთვის სასტიკათ არ გავსჯით იმათ მოქმედებას. ისინი სუსტი არიან; თავიანთი ძალით და მოქმედებით იმათ არ შეუძლიანთ გზის გაკაფვა საზოგადოების გრძობისა და გულისაკენ. ამისთვის ვასაკვირველი როდია, რომ ისინი სარგებლობენ მდგომარეობით და ეკედლებიან სხვებს, რომელთაც, მათის აზრით, დღეს ცოტაოდენი შეძლება და ძალა აქვთ. ეს ყოველი სუსტი ქმნილების ბედია, და ბუნების კანონიც იმას ითხოვს, რომ ყველაფერი რაც მსუბუქია, მიჰზიდოს და მიეკრას მასზე უფრო მძიმესა და სხვილ საგნებს. ამათ შეცოდებაში დამნაშავეა მარტო ის ბუნება, რომელსაც ეს პირები მსუბუქ და სუსტ ქმნილებათ გამოუტყნია.

ბ. ნიკოლაძე

დღიური

მთქმის ყველა აქაურს კლუბებში გაიმართა ხელისმოწერა გადამწვარ ზაქათალის მცხოვრებთა სასარგებლოდ. ჩვენი ბანკები კი ამ საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, გარდა მთელი სის სადგილმამულო ბანკისა, რომელსაც, როგორც ვაგიგეთ ამ საქმისათვის ხელისმოწერა გაუმართავს და ჯერ-ჯერობით რამდენიმე ათი მანეთი შეუკრებია.

ჩვენი ხელის-მოწერის სიის გამოცხადების შემდეგის ნომრიდამ და ვიწყებთ.

ბასულ ორშაბათს, შალაქის ბამგეობაში, შალაქის ბიუჯეტზე მოლაპარაკების დროს, სხვათა შორის ვადაწყვიტეს, რომ შალაქის მთეს უფ.

დ. ი. შიფანს წელიწადში 7,000 მანეთი მიეცეს ჯამაგირათაო.

მზურგეთიდან გვწერენ, რომ ამ დღეებში იქაური დამოქნის ზასტაეის ზედამხედველი 90 წლის მოხუცი-მერინგი მიცვალდებულა, რომლის საქმეებსაც, სიკვდილის შემდეგ, რევაზია უქნესო და აღმოჩნდა, რომ 2,000 მანეთი სახელმწიფო ფული აკლდაო.

იქიდანვე ერთს საყურადღებო ამბავს გვატყობინებენ: ამას წინათ ერთს ჯუმათელ გლეხს თავის 15 წლის ვაჟისთვის 20—22 წლის ქალი შეურთვინებია. ახალგაზდა ბიჭს, რომელსაც, რასაკვირველია, არც სიყვარულისა და არც ცოლ-ქმრობის წესის არა გაეგებოდა რა, აუთვალწუნებია თავის ცოლი და სულობით არ ეკარებოდა თურმე; ვერც თავის მზახლებს მოაწონათავი. ძალი ისეთნაირად შეწუხებული და შევიწროებული ჰყავდათ თურმე, რომ კაცს გული მოუკვდებოდა, რომ ენახაო. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მოთმინებლად გამოსულმა ქალმა თავის-მოკვლა მოინდომაო. ბაიბარა თურმე სუფის მდინარეზე, რომელიც სოფელთან ჩაივლის და ჩავარდა შიგ. მაგრამ, ამის ბედზე, ამ დროს შავი ზღვიდამ დაბრუნებული მენავეები მოდიოდნენ თურმე, დაინახეს, მიეშველნენ და ცოცხალ-მკვდარი ამოიღეს. ამ ყამად ქალი ავანტიურაფობის შემდეგ მოჩრა და კარგათ არისო; მაგრამ იმის ცხოვრებასაო, ასე გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი.

ეს განლაგეს იმის შუდვი, რომ ასე უდროვრთ და თავის ნების დაუკითხავად ათხოვებენ ჩვენში ქალებს და ცოლს რთავენ ვაჟებსა.

ჩვენ მივიღეთ პარიჟიდან ამბავი, რომ უფ. ბეთანელს თავის ტრუპპით გაუვლია ამ ქალაქში და ერთი კონცერტი გაუმართავს. მთი კონცერტიც მონაწილეობით გაუმართავს. არაფერს ამბობენ იმაზე: მოეწონათ თუ არა პარიჟელებს ქართული ზურნა და ტანკოს ლეკური.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი. დიდი იმედი ჰქონდათ ახალი სულთანისა იმ პირთ, რომელთათვისაც ოსმალეთის სიმთელე და დღევრძელობა სანატრელი იყო; იმედი ჰქონდათ ოსმალეთის განახლებისა და მეროპიულ განათლების გზაზე დადგენისა. პირველი იმედის აღსრულება ის უნდა ყოფილიყო, რომ ახალს მმართველობას კონსტიტუცია უნდა დაეწესებიათ სტამბოლში, და ამ პალატას თუ პოლიტიკური უფლებანი არ ექნებოდა, სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის განსჯა მინც უნდა ჰქონოდა მინიჭებული.

ლი, როგორც თვითონ მმართველობამ გამოაცხადა. მაგრამ გუშინწინდელი ტელეგრაფმა, რომელიც შალაქში მოვიდა, გვატყობინებს, რომ ხონთქრის ახალ მინისტრებს შუა რაღაც უთანხმოება მოხდა კონსტიტუციის პროექტის თაობაზედაო და იმის გამო ეს კონსტიტუცია ჯერ არ მიეცემა ოსმალეთსაო.

— პარიჟიდან მოსული დეპეშა გვატყობინებს, რომ მეროპის უმთავრესი სახელმწიფოები დათანხმებულან ერმანეთში, რომ იმ ბრძოლაში, რომელიც სლავიანებსა და ოსმალეთს შუა არის ახლა, ჩვენის მხრით არავითარი მონაწილეობა არ მივიღოთო. მთ ეს გადაწყვეტილება მარტო ბერცოგოვინის და ბოსნიის არეულობის თაობაზე არ არის დადებული, მაშინ, იქნება, მეროპა არ გაერიოს ომში, თუ ვინცოცაა სერბიასა და ოსმალეთს შუა შეხეტქება მოხდა.

საშრანგეთი. ამბობენ, რომ, თუ მმართველობამ პატიება არ გამოუტყნა იმ პირთ, რომელთაც 18 მარტის 1871 წლის ქომუნის არეულობაში მიიღეს მონაწილეობა, იმ შემთხვევაში დეპუტატს მარკუს განზრახვა აქვსო, რომ ნაციონალურს კრებაში მეორე წინადადება შეიტანოსო, რომ ის ბონაპარტისტები, რომელთაც 1851 წელს 2 დეკემბერს უღალატეს სახელმწიფოს, რევოლიუცია მოახდინეს და ამდონი სუსტი დაღვარეს, ისინიც სამართალში უნდა იყვნენ მიცემულნიო.

— დეპუტატს ნაკეს ნაციონალურს კრებაში და კრემიეს სენატში ჰსურთ შეიტანონ წინადადება, რომ საფრანგეთში მოისპოს ის კანონი, რომლითაც ცოლ-ქმრობის გავრა აღკრძალულია.

სიზავლი

ძველი ნასყიდობის წერილი

მოგვეყეს ეს ძველი ნასყიდობის წიგნის პირი, რომელიც ამასწინათ ახალციხიდან მოგვიყვდა; ჩვენი ძველი ქალაქლებისა და თამასუქების გამხრეკათათვის საინტერესო იქნება ამეს წაკითხვა. მართლ წერა დედნისა და ცული.

„სახელითა ღეთისათა მამითა ძისათა სულისა წმინდითა ამის მოწმობითა, და შუამდგომლობითა და თავდებობითა და უმეტესითა მარადის დედნის მღვთისმშობლის მარადის ქალწულის ძალითა და ძლიართა, რხითა და მეოხებითა; ამათის მოწმობითა და შუამდგომლობითა, და თავდებობითა, ზეცისა ძალითა, მთავარ ანგელოზთა მიქელ შაბრიელითა სერაბინთა და ქერაბინთა, ცხრადასთა ანგელოზთა ათ-თორმეტთა მოწაფეთა პეტრე და პავლესითა, იოვანე ოქროპირითა და იოანე მახრობლისათა; ამათის მინდობითა და შუამდგომლობითა, და თავდებობითა,

თა. მაცხოვრის ხატის მხტუნისა, ქრისტე მხტის და წმინდა ბიორგის მხტუნისა, და წმინდა ბიორგი მთელეთისა, და წმინდა ბიორგი მოლნისისა, და წმინდა მსტატე ოქროს გვირგვინოსანისა, ამათვე წმინდა მღვთის ამათის მინდობითა და შუამდგომლობითა და თავდებობითა. მსე დრო დადებული და მიზვზ შემოღებული ყოელი ილეთისა და ჩხუბისაგან გამოსული, ყამთა და ხანთა გასთავებული, ადამიანის ნათესავის კაცისაგან უცილებელი სამკვიდრო და საბოლოო გასთავებული, ეს ნასყიდობის წიგნი და მოგვცით ჩვენ მანველას შეილმან იოსაიამან და ჩემან შეილმა მანველამა, სახლისი მომავალმა ჩემან, შენ მოლა ბიორგისა და შეილსა მაჰმად ჰუსეინასა და სახლის მომავალსა შენსა, ასრე რომე მამის ჩემის მანველას ვალი დაგვრჩა დივანი ხოსინასი და ხოსინა მდივანმა დამაჭერინა, ღონე არსითა მქონდა, დიდის ხეწნითა შემოგვხვეწე და მოგვიდე მამისჩემისაგან ნასყიდი მეიდნის პირად ძველი ზარაფხანის გვერდთა, ზენალანთ მელიქის სახლის ბოლოსა ნორაშნის ხუცისაგან მონასყიდი სამი სახლი და ერთი სახლის ალაგი, ვხოთა; მისი შესავალ-გასავლითა, თავისი კართა: ზემომხარი—უკანით ბასილოას სახლის კედელი, ერთი მხარი ძველი-ზარაფხანა რომ იყო ზენალანთ აშენეს იმ სახლის კედელი, ერთი მხარი ციხისკენ შაჰრამდის ბასილიას კარს გაიტანს, იმის მიდგამდინ შაჰრას პირამდინ; ქვეითი მხარი ზარაფხანის კარზედ რომ ნეხეი ჰყრია იმის კერძოდ; ამ გვერდზედ კარი გაიღების. არაფერ იყოს თქვენი მოცილე და მოდავე, თუ ვინმე გამოჩნდეს, პირისა და პასუხის გამცემი მე ისაიამა და ჩემა შეილებმან ვიყოთ პასუხის გამცემი. ჩემი ძმები ამ საქმეზედა შინ არ იყვნენ, გზას წასულიყვნენ, თუ ჩემა ძმებმა წამოგვდავოს, პირისა და პასუხის გამცემი, მე ისაიამა და ჩემა შეილებმა ვიყოთ. ბამოგართვი ამ სახლების ფასი მთლიე უკლებლიე, მე ისაიას მამებარა, რითაც ჩემი გული შემჯერდებოდა. და ჰქონდეს და გიბენდიეროს ღმერთმან, როგორც მრავალს მონასყიდეს გასთავებოდეს, ამინ. არა დარჩარა შენსა და ჩემს შუა არცა ერთი იოტის ფასი: არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და მისი წმინდანი; კაცთაგან მელიქი ბიორგი. (შველა მოწმების შემდეგ საკუთარი ბეჭედი ასეია). მამასახლისი შარსადანაი, ნაცვალი შაინოსროვა, ზარაფი სულხენანა. ამირჯანათ ბეჟანა ბეგი, ბურგენათ შარსადანა. ბარხოს შეილი მურადა, ივანგულათ მელქოა, მელიქ შერმაზანათ შარსადანა ფარეში ასლანა ანშელას შეილი ბაღდასარა. როსტომა შეილი ბეჟოა. ალან ბეგიათ შასოა ზენალიანთ ბუჟენა. ბოგინას შეილი მართანა, — და ძველი სიგელიც შენთვის მომიცია, და მე ჰახვერდას შეილს ზურაბას დამიწერია და მოწამეც ვართ. მსე, სიგელი თიბათვის კე გასულსა: ქკა ტყც.

